
1999



გამოფენა და კატალოგი დაფინანსებულია ფონდის - "ღია საზოგადოება საქართველოს" მიერ

გამოფენა – თანამედროვე ხელოვნების გალერეა – თბილისი, რუსთაველის პრ.3, II სართული





# ხიბლი

არტ-ჯგუფის პირველივე შეხვედრაზე მე და ნინომ ჩვენი შეგრძნებები და მოსაზრებები პუნქტებად, "მანიფესტურ-დეკადენტური" წყობით, წერილობით ჩამოვაყალიბეთ, სადაც "გაბედულად" მოვიხილავდით "სამყაროს ჩვენეულ ხედვას". "ჩვენი ცხოვრების წესს", ჩვენს "მოღვაწეობას" ხელოვნებას ვუკავშირებდით. ცხოვრების წესი კაბებით, სუნამოებით, მანქანებით, კომპიუტერებით, მობილური ტელეფონებით გამოიხატებოდა. ეს ყველაფერი ეპოქის საოცარი ხიბლით აიხსნებოდა. თავის პრეზენტაციის მიზნით ჩვენს მიერ შეთავაზებული გულწრფელ-კომუნიკაციური "წარდგინება" აღფრთოვანების გარეშე იქნა დატოვებული, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება სიტყვებმა "სტილმა", "ხიბლმა" და "ეპოქამ" მიიპყრო. "პიგმალიონის" ხატებით განმსჭვალულმა "არტ-მოაზრე"- მხატვარმა მომავალი პროექტის სახელწოდება - "ეპოქის სტილი და ხიბლი" ფურცელზე დაწერა და აქედან დაიწყო ჩვენი "თავისუფალი ნების" განხორციელება. დროთა განმავლობაში დაილექა პათეტიკური განწყობილება, სათაურიც უფრო დაკონკრეტდა და გულმოდგინე ძიებების შედეგად "ექვსმხატვროვანი", თვითმყოფადი არტ-GROUP-ი შეიქმნა ჩვეულებრივი ეპოქალური "ხიბლის" ევიდით.

მხატვრები ძირითადად კულტურულმა სიახლოვემ გააერთიანა. განსკუთრებულ ინტერესს "ხიბლის" სივრცეში შემოქმედებითი ინდივიდების თანაარსებობა და ადაპტაციის პროცესი იწვევდა. საერთო კონტურის მისაღებად, თანაარსებობასთან ერთად ურთიერთშეღწევადობა აუცილებელი პირობა იყო. განსხვავებული ასაკის, ცხოვრების წესის, ხასიათის, წარსულის, სამყაროს აღქმის, სქესის, იდეის, სიყვარულის მქონე შემოქმედებითი ინდივიდების გაერთიანება ეფემერული იდეის ქვეშ, მეტადრე მცირე მონაკვეთში, კორექტულ პროფესიონალიზმს, გამოცდილებას და გულმიწვენით მეცადინეობას მოითხოვდა. უნდა გამოვიტყდეთ, რომ ხანგრძლივი ძიების მიუხედავად, არჩევანის ფაქტორი მხოლოდ ჩვენი სიმპათია და მხატვრების შესაძლებელი თანაცხოვრება პირადი ინტუიციით იყო ნაკარნახევი. ერთისთვის თუ "ხიბლი" ეროტიული აღმოჩნდა, მეორე ახალგაზრდული ჟინით შეპყრობილი, იუმორს და თამამს გვთავაზობდა, ერთი თუ "ხიბლში" თავის ფერადოვან "დეფექტს" თუ "ეფექტს" გულისხმობდა, მეორე სექსუალურ ფანტაზიებს ალევებდა, ერთთან თუ "ხიბლი" მხოლოდ კლიშეს ჩარჩოებში მოექცა, მეორე ინტელექტუალური კოკეტურობით შემოქმედებითი პროცესის ჭვრეტაზე საუბრობდა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, "ხიბლი" სიტყვების თამაშით წარმოშობილი გაუაზრებელი ახირება არ ყოფილა. "ხიბლი" ერთის მხრივ, "ზმელის" და "გამომშრალის" წინააღმდეგ შინაგანი ამბოხებაა, არა გონისმიერი, არამედ გრძნობების და ემოციების ამოფრქვევა – ვნებების მონაცვლეობა. მეორეს მხრივ, დროული, ჩვენში შეწოვილი და წლების მანძილზე დაგროვილი, მენტალურ-ირონიულ და ემოციურ დონეზე გააზრებული ეპოქალურ მოვლენათა მწკრივი – XX საუკუნის ბოლოს სიტუაციის ფიქსაციის აუცილებელობა და უკვე არსებული ფუნდამენტის გამყარების სურვილი.

არსებულის მენეული გააზრება თავისთავად ახალი იდეების სიახლოვის მაუწყებელია, საჭიროა მომენტის დაჭერა და ეს მომენტი ჩვენეული "ხიბლი"იყო. ენახოთ, როგორ აღიქმება "მომენტის" ანუ "ხიბლის" კონკრეტულ-ექსპოზიციური ორიენტი ზოგადკულტურულად იქცევა თუ უბრალო ექსპერიმენტად დარჩება, ეპოქალურ მოვლენებს შორის შეუვსებელ ინტერვალად, თავისებურ პაუზად მოგვევლინება, თუ შემოქმედებითი პროცესის ჭვრეტის, ტკბობის, ესთეტიური გემოს სინჯვის წარმატებული დემონსტრაცია იქნება. "ხიბლი" - ჩვენეული პოზიციაა დროის მოძრაობაში, თავისუფალი "ჟესტი", სადაც მხატვრული ქმედების პროცესის თანმიმდევრულ ჭვრეტა-"დათვალიერებას" განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. თუ კოკა რამიშვილისთვის "ხიბლი", ევოლუციური ჯაჭვის "სფუმატო" იყო და ყურადღება ძირითადად ვიზუალურ ეფექტზე გამახვილდა, კოკო ვარვარიძისთვის ეს იყო ეტაპობრივად აუცილებელი პროცესი და "ხულიგნობა" ანტიხიბლის თემაზე, თუ ილიკო ზაუტაშვილის პოსტკონცეპტუალური "პროსტრაცია" ემოციური მუხტით დაიტვირთა, ქეთი კაპანაძე, რომლისთვისაც მთლიანად ცხოვრებაა ხიბლი, გრადაციულად შემოქმედებითი პროცესის ჭვრეტას აგრძელებდა, კოტე სულაბერიძე ტკბილი ოჯახური ცხოვრების ფონზე ისევ ფერწერულ-კონცეპტუალურ სილამაზეზე და სამყაროს თავისეულ ფერადოვან ხედვაზე "საუბრობდა", მურთაზ შველიძე კაცური მენტალიტეტით მალული ზმანებების აფიშირებას იწყებდა. ერთი კი ნამდვილია - თითოეული მათგანი თვითკმარი და ამომწურავი აღმოჩნდა საკუთარი თავის, საკუთარი "ხიბლისმიერი" ალტკინების მიმართ, ბრძნობის, ჭკუამეტობის გარეშე, მარტივ-ადამიანური ვნებებით და შეგრძნებებით XX საუკუნის ბოლოს.

ალექსანდრა გაბუნია
14.10.1999

კადრები ვიდეო ფილმიდან "ექვსი მხატვრის მოკრძალებული ხიბლი", 1999
რეჟისორი ქეთი კაპანაძე, ოპერატორი დავით კაპანაძე

თანამედროვე ხელოვნებამ ფართო განაცხადი გააკეთა ახალი ესთეტიკის ძიების სფეროში, რომელიც თავისი შინაარსით უმაგალითო მოვლენად გვევლინება.
ადამიანის ცნობიერების კოსმოპოლიტურ სივრცესთან მიახლოვებამ, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის საზღვარი გამჭვირვალე გახდა. ე.წ. "ახალი ტალღა" თავისი ნოვატორული იდეებით, მისწრაფებებით, ენებებით, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური პროგრესით ცხოვრებისეული პრობლემატიკის პირდაპირ "მიმღებად" გვევლინება.

საერთო ახალი მხატვრული ენის ჩამოყალიბება ყოველთვის ისწრაფვის ამ ენის პირველადი, ჭეშმარიტი სახის გახსნისაკენ. ამდენად, მისი ჩამოყალიბება შინაგანად გამართლებული პროცესია; ასახავს რა საზოგადოების განვითარების კულტურულ დონეს, ახალი ყოფა ახალ ენებებს, ახალ მისწრაფებებს ბადებს. თანამედროვე მხატვრული ენა კი იტვირთება არაორდინალური გამომსახველობით ხერხებით, მასში ხდება კატაკლიზმური ძვრები, რაც ფორმათა თუ კლიშეების შეცვლით ვლინდება.
საერთოდ ახალი მხატვრული ენის ჩამოყალიბების აუცილებლობა აიხსნება კიდევ ერთი არსებითი ფაქტორით – სოციალურ-ეკონომიური პირობების რადიკალური გარდაქმნების დროს, იცვლება ადამიანის ფსიქიკაც, იბადება ახალი შეგრძნებები, განცდები. ეს სიახლე თავის მხრივ მოითხოვს სამყაროს ახლებურ, ახალი ვიზუალური და ტექნოლოგიური საშუალებებით გამომსახველობითობას. ჩნდება მოდური პლასტიკური სუბსტანციები, რომლებიც კვებავს თანამედროვე ფორმას. სისტემა, რომელზეც ხელოვნება, თავისი აღმოცენების დროიდან "განისვენებდა", თანდათანობით ქრება. მას ენაცვლება მუდმივად ცვალებადი, მერყევი ღირებულებათა სისტემა, რადიკალურად განსხვავებული გამომსახველობით და ემოციური მუხტით.
ტექნიკური მიღწევების ადამიანის ყოველდღიური ყოფის განუყრელ ატრიბუტად ქცევა ცვლის მის ფსიქიკურ სტრუქტურას, საკუთარი უნივერსალობის და ყოვლისშემძლეობის ილუზიას უქმნის მას. აქედან გამომდინარე, ხელოვნებაში ჩნდება მისწრაფება დაარღვიოს მისი ძირძველი ავტონომიური ფორმები, როგორიცაა ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, პოეზია და სანაცვლოდ შექმნას უნივერსალური, სინთეზური ფორმა, რომელიც ორიენტირებულია დროსა და სივრცის დინამიკაზე.

მშვიდი ცხოვრება აღარ არსებობს. სიჩქარე თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისეულ კონსტანტად გვევლინება, თანდათან იკარგება ფიქსირებული ხატების აღქმადობა, სტატიკური მშვიდი ფორმების ესთეტიკას ქმედების დინამიკა ავიწროებს. ხატოვანი აზროვნების კატეგორიების (ფერი, პლასტიკურობა, მოცულობითობა, ფაქტურა, ფორმა, ხმა, რიტმი) ერთმანეთში შეღწევადობა, ახალი ხელოვნების ძირითადი ამოცანა ხდება. (ფერი – იძენს თვისობრივად ახალ ჟღერადობას. მისი პლასტიკური მოცულობითობა სივრცობრივი ნიშნით ვლინდება. ხმა – პლასტიკურობის, ფაქტურის, სივრცობრიობის დინამიკურ გამაძლიერებლად, ხშირად "მიმღებადაც" კი გვევლინება.)

ხატოვანი აზროვნების შემადგენელი ნაწილების მისთვის მანამდე უცხო ფუნქციებით დატვირთვა, მათი თვისობრივად ახალი სინთეზი, მათი პირველყოფილი შესაძლებლობების გახსნის მცდელობა, ხშირად საპირისპირო შედეგს გვაძლევს. ხელოვნების ნაწარმოების "ობიექტის" სრულყოფილებას, ჰარმონიულობას ენაცვლება ამ "ობიექტის" ჭვრეტით გამოწვეული ერთი დომინანტური შეგრძნება. სულიერის, გონისმიერის და ესთეტიურის ჰარმონიულ სინთეზს, ხან ჰიპერსენსუალიზმი, ხან კი მშრალი ანალიტიკური კონცეპტი ცვლის, რაც ახალი ყოფის გაუწონასწორებლობის, არამდგრადობის ადექვატური მანიფესტაციაა.
ობიექტური სამყარო განუწყვეტლივ ცვლილებების გზით გადადის ერთი ეგზისტენციალური მდგომარეობიდან მეორეში, რათა ხელახლა მოიპოვოს თავისი პირველყოფილი შესაძლებლობები. სულიერებისკენ, როგორც ძირითადი დომინანტისკენ, აბსოლუტისკენ, როგორც უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ სწრაფვის შესუსტება, ადამიანის თავისუფალი ნების ინტერპრეტირება ყველაფრის დაშვებულობისა და ქმედების არეალის გაფართოვების ილუზიას ქმნის. ხელოვნებაში ძიების დაძაბული, ორგანიზებული ვერტიკალი ფართო მოდუნებული ჰორიზონტალით იცვლება. ეს თავისებური დაბრუნებაა პირველყოფილ ვნებებთან, ხელოვნების ჩარჩოებში ამ ვნებების მანიფესტაციის მცდელობა. ახალი ესთეტიური და ექსპერიმენტული შენაძენებით დროსა და სივრცეში წრიული ბრუნვის საწყის წერტილთან დაბრუნება, შესაძლოა ახალი აღმავლობის ფარული ნიშანიც კი იყოს, რამეთუ ეს წრებრუნვა ადამიანის ქვეცნობიერში ასიმილირდება. ქვეცნობიერი კი შესანიშნავი განძია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავუღრმავდეთ და აღვიქვათ პირველყოფილი ხატები.

ნინო გუჯაბიძე.
20.10.1999



# ირაკლი ვარვარიძე




"ახალგაზრდა ცდილობს დაემსგავსოს უფროსს. მის წარმოდგენაში იქმნება იდეალები, რომელთაც იგი უნებლიედ ბაძავს, რაც მას უახლოვს ხდის. მე არ ვაკრიტიკებ, არც დავცინი მათ. უბრალოდ მანძილს ვტოვებ ჩვენს შორის. "ხიბლის" სივრცეში მე ანტიხიბლით შემოვედი."

კოკო ვარვარიძე
1.10.1999

აქცია "999"
(სიტყვიერი აღწერილობა)
5 საათსა და 30 წუთზე რეჟისორის, ოპერატორის, ორი კურატორის და რამოდენიმე თანამოაზრის თანხლებით მხატვარი დიღუბის მიმართულებით ორი მანქანით დაიძრა. პიკის საათის გამოისობით მანქანებმა დანიშნულების ადგილს ერთდროულად ვერ მიაღწიეს. (წერეთლის გამზირი, პირველივე საარჩევნო აბრა) მხატვარის მოსვლამდე რეჟისორი შეუდგა საქმიანობას და "დიდი ენთუზიაზმით" გამვლელებს "დეპუტატ კოკო ვარვარიძის" შესახებ აზრს ეკითხებოდა. მოქალაქეთა შორის აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ვარვარიძეს "იცნობდა" და შესაძლოა ხმაც მიეცა. (დაფიქსირებულია ვიდეო ფირზე). ამ საქმიანობას შემოსწრებულმა მხატვარმა ცრუ-პლაკატების საარჩევნო აბრებზე, ბოძებზე და კედლებზე გაკვრა დაიწყო. (ტექსტით – "მომეცით ხმა", კოკო ვარვარიძე, №999.) ამ გარემოებას თან ახლდა მონაწილე-მაყურებლის ანუ ჩვენი მოლოდინი. გვაინტერესებდა რა ხდებოდა აქციის სადემონსტრაციო არეალის "საზღვრებს იქეთ"– გამვლელების უშუალო მონაწილეობა, კომენტარებით ან ქედმაღლური იგნორირებით. სადემონსტრაციო არეალი, იგივე "სათამაშო მოედანი" თანდათანობით ფართოვდებოდა. იკლებდა რა მონაწილე-მაყურებლების აჟიტირებული განწყობილება, პრივილირებას იწყებდა "თამაშის" პროფესიონალური ასპექტები. ქმედება მინიმალური იყო, მაგრამ კამერის "დასწრება" და რეჟისორული მითითებები მხატვრის მოქმედებების რამოდენიმეჯერ განმეორებას მოითხოვდა, რაც თავისთავად ძალიან რითმული იყო და "გაუგებარ"– აბსურდულ გრძნობებს ბადებდა. კონკრეტული "სააქციო" ქმედების გარდა აქციას თან სდევდა ინტერპრეტირებული ქმედებებიც.(მაგ. ცაზე დროულად ჩიტების გუნდური გადაფრენა ან საინტერესო პერსონაჟი-ქალის შემოვარდნა კადრში და სხვ.). აღსანიშნავი იყო, გარემოსთან შეფარდებული, მხატვრის გარეგნული ფაქტურულობა და პერიოდულად, მზერაში, "დუმილის მნიშვნელოვნება", აგრძელებდა რა "სერიოზულის" პაროდირებას. აქცია, სინამდვილეში მხატვრის "აღქმის" დემონსტრაცია იყო. ჩვეულ კონტექსტს მოკლებული მისეული აღქმა ამ შემთხვევაში - რეალურ პირობებში, უჩვეულო "მოვლენად" იქცა, ბუნებრივ განათებაში და ყოველდღიურობით გახმოვანებული. გაწვიმდა.
7 საათსა და 10 წუთზე აქცია დიღუბის საგამოფენო ტერიტორიის მიდამოებში დასრულდა.

18.10.1999 თბილისი

ისტერიული საარჩევნო კამპანიის ფონზე "მე 23 წლის ვარ" ახალგაზრდული მოღვაწეობის ფორმაა – "ხულიგნობა", რომელიც ნაწარმოებს "განსაკუთრებულობისგან" ათავისუფლებს. კოსტუმირების მიუხედავად მოკლებულია თეატრალურობას. სუბიექტური გამომსახველობაც მეორე პლანზეა გადატანილი და ლაკონური, ელემენტალური ტექნოლოგიური ხერხებით აზრობრივი აქცენტები თანდათანობით შინაარსიდან თამაშის მექანიზმზე გადადის. ფოტოები პოზიციური თამაშის საყრდენია, რომელიც მაყურებლის უშუალო მონაწილეობას მოითხოვს. თვითონ მოქმედება (უფრო ზუსტად სამი სტატიკური მდგომარეობა) ავტორის მონაწილებით ფოტოებზეა დაფიქსირებული. წინა საარჩევნო პლაკატი – "მედიდური" შესახედაობის, მშვაობარი გამომეტყველების ცრუ-კანდიდატი მხრებზე ჩიტებით და ზღვის მშვიდი პეიზაჟით განსაკუთრებულად კომიკურია. პაროდირება, გამომსახველობის თავისუფლება, პარადოქსულის და აბსურდის თანხვედრა თამაშის მექანიზმია. უფრო კონკრეტულად კი, თამაშის ატმოსფეროს კულტივაცია, მდგომარეობით – უბრალოა, ელემენტარული, რომლის "არსი" ცხოვრების და ხელოვნების განმსაზღვრელია. "ცნობილის" ნორმატივებით პაროდირება, "ახალგაზრდული აბსურდი" მხატვარს შებოჭილობისაგან ათავისუფლებს, გათქვეფილია რა იმიტირებულ "საგანთან" ფიზიკური მოქმედების კონკრეტულობით, "აქცირებით". (მოეწყო აქცია თბილისის ქუჩებში, სადაც მხატვარი ფსევდო-საარჩევნო პლაკატებს კედლებზე აკრავდა.) ინტრავერტული ენერგიით, გულწრფელობით, შემოქმედებითი თავისუფლებით, ახალგაზრდული "თამაშებით" კოკო ვარვარიძე "ხიბლის" სივრცეს განსაკუთრებულ აღმოჩენად მოევლინა.

ალექსანდრა გაბუნია
19.10.1999





მომეცით ხმა!
შემოხაზეთ
999


ქოტე სულაბერიძე
5.80
2.90
00.00°
180°



16 წლის რომ შევიქმენი პირველი სერიოზული გადაწყვეტილება მივიღე: "გავმხდარიყავი მხატვარი". მოგეხსენებათ საამისოდ მრავალი აუცილებელი პირობაა შესასრულებელი. მაგრამ "უმთავრესი" მაინც სამხატვრო აკადემიაში სწავლაა, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს საბუთების შეგროვებას, ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს ჯანმრთელობის ცნობასაც, ანუ მთელი რიგი ექიმ-ბიბის დასკვნათა ერთობლიობას ჩემი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შესახებ.

...ამან ყოველივემ, თვალის ექიმის კაბინეტში მომახვედრა, სადაც სამხატვრო აკადემიაში წარსადგენი ცნობის გაცემაზე მტკიცე უარი მივიღე. მიზეზი –"ფერადოვანი მხედველობის დარღვევა."

..ვინაიდან, იმხანად საკუთარი "განსხვავებული მხედველობის შესახებ არაფერი გამეგებოდა, გადაწყვეტილებაც სწრაფად მივიღე და თვალის ექიმის გვერდის ავლით გავაკეთე ცნობა. 3 კვირაში კი წარმატებით ჩავაბარე გამოცდები (მათ შორის ფერწერაში!), ხოლო ექვს წელიწადში – გავხდი მხატვარი.

მაინც, მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მასვენებდა ფიქრი ჩემი "დარღვეული ფერადოვანი მხედველობის" შესახებ. წლების განმავლობაში ღრმად შევისწავლე ეს საკითხი – ვეცნობოდი ლიტერატურას, ვესაუბრებოდი სპეციალისტებს, ვატარებდი ცდებს და საბოლოოდ მივედი შემდეგ დასკვნამდე: თუ ადამიანთა უმრავლესობა ყველასათვის ცნობილ შვიდ ფერს გარკვეული თანმიმდევრობით აღიქვამს, ჩემს შემთხვევაში ეს თანმიმდევრობა სწორედ რომ საწინააღმდეგოა. ამდაგვარი "დარღვევები" მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს "ხინჯი" უმრავლესობამ თავს მოახვია უმცირესობას, ვინაიდან პირადად მე ამას ვერაფერში ვგრძნობ. არავითარი დისკომფორტი!.. მშვენიერია!.. მე დალტონიკი ვარ!
და მაინც, ჩემში დარჩა დაუოკებელი სურვილი დავინახო სამყარო უმრავლესობის თვალით, და ამავ დროულად, უმრავლესობას მივცე საშუალება შეხედონ მას (სამყაროს) ჩემი თვალებით..

კ. სულაბერიძე
14.10.1999

**კოტე სულაბერიძის სახელოსნოში, ვიდეო ფილმის გადაღების პროცესში, მიღებული შთაბეჭდილების იმ წუთიერი შეგრძნებები**

დაუმთავრებელი პეიზაჟების დანახვისას, განსაკუთრებული განწყობილება დამეუფლა. სახელოსნოს სივრცეში "უკიდეგანოდ" გადაშლილი, ფერადოვანი ლანდშაფტები, ისე ელაგა, რომ მართკუთხეს ქმნიდნენ. ისინი, უკვე ავტონომიური, მთლიანი და ორგანული არსებობით, ტილოებზე "განისვენებდნენ". ინტუიციური მოლოდინი სიტუაციის "გამორჩეულობას" მოასწავებდა. მხატვარმა სავამოფენო დარბაზში ინსტალაციის – სივრცობრივი კომბინაციის შექმნის პერსპექტივით ნამუშევრებს თავისებური მინის "ბარიერები" მოუფიქრა – ოპტიკური ტაბულებით. იმდღევანდელი ჩვენი "ვიზიტი" ამ პროცესის ფიქსაციას გულისხმობდა. და აი, ქმედებაც დაიწყო – მინის სიბრტყეს მან გამოჭრილი ქაღალდის წრიული ტრაფარეტები მიაკრა და ღრუბელის გამოყენებით ყვითელი, ვარდისფერი, ცისფერი სალებავები მინის სიბრტყეზე ფერადოვან ლაქებად აქცია. "სომნამბულური" განწყობის დაგრუნტული პეიზაჟების გვერდით წარმოშობილი ბურთები–"მირაჟები" თავბრუსდამხვევი იყო და მხოლოდ მასთან კონტაქტს მოითხოვდა. იმ წუთებში მონუმენტურ ტილოებსა და მინის სიბრტყეს შორის "სპირიტუალური" სივრცე წარმოიშვა. ირღვეოდა რა მათი ჰერმეტიული "ცხოვრება", იქაურობა "ფეთქებადი" ემოციური აურით იმსჭვალებოდა. ესთეტიკური კავშირი ფანტაზიისა და სიზმრის ლოგიკით მყარდებოდა. იქ მყოფი ადამიანები შემოქმედებითი პროცესის მონაწილენი ვხდებოდით, "თანაშემქმნელები", "თანაავტორები". ვითარებამ დომინანტური ჟღერადობა შეიძინა. ემოციურად მშვიდმა, თავისუფალი ჯვარის მინის ფაქტურამ პეიზაჟები "თვითბრუნვაში" მოაქცია. დაგრუნტული ლანდშაფტები საკუთარი სიბრტყის პერიფერიას "მოაწყდა" და თავისი "ცხოვრება" ფერადოვან წრიულ "მირაჟებში" გააგრძელა. მინაში სახელოსნოს სივრცის "ექო" ირეკლებოდა. არსებობის პირველივე წამიდან "დალტონიკურმა" ტაბულამ სიუჟეტური მნიშვნელობა დაკარგა და მეტაფიზიკურ კომპოზიციად იქცა. არტისტის სულიერი სრულფასოვნების დროს მასალის "იმიერი" ჭვრეტა და მინა თავისი კინემატოგრაფიული თვისობრიობით სახელოსნოს ფარგლებს გასცდა. ეს ყველაფერი მხატვრის პირად "შემოქმედებით – ემოციურ" რევოლუციას ჰგავდა.

ალექსანდრა გაბუნია
23.10.1999



# ქეთი კაპანაძე



ერთ ქუჩაზე "ჩამონტაჟებული" სხვა ქუჩის "ანტურაჟი", ავტორისეულით ჩანაცვლებული პოპულარული სარეკლამო ტექსტები, ქუჩების კომფიგურაცია მონუმენტური პლაკატებით შეცვლილი, ქალაქის სინამდვილეს შეფარდებული მონატრებით წარმოსახული "პერსონაჟი", ლითონის წითელი, ყვითელი და ლურჯი მოჩარჩოებით "სტოპ-კადრებად" დაფიქსირებული და კომპიუტერული ესთეტიკით ნაკვები ფოტო-მონტაჟი "NEW ADDS"-ი – ერთი შეხედვით მარტივი კომბინაცია ქეთი კაპანაძემ "ხიბლის" სივრცეში "გაითამაშა". ამჯერად შოტლანდიაში ამოქმედებული, "CONTROL YOU"-ს, "BE SOBER"-ს და "THEY DRIVE YOU"-ს ინტერპრეტირებული ვარიანტების ტექნიკური მთლიანობა მხატვრის მენტალურობით და შემოქმედებითი "ქცევის" გარკვეული სტრატეგიით ხორციელდება. სარეკლამო ტექსტი ტევადი მოდელია, რითაც ავტორი საკუთარ "მითოლოგიას" გვთავაზობს. "მითოლოგიას", რომელიც კოლექტიურის, უპიროვნოს, ინერტულობის თუ პასიურობის კატეგორიებს აერთიანებს. "საინფორმაციო ორგანოში (ტვინში)" დინებადი ნეგატიური საინფორმაციო წყარო, რომელიც ადამიანის მსოფლშეგრძნებას, აზრთა წყობას, ქცევის სისტემას ყალიბში აქცევს. კონცეპტუალიზმი შინაგანი ტრადიციაა, რასაც ეყრდნობა ავტორის მხატვრული მიზნები, კვებავს მას ახალი ტექნოლოგიებით, გამოსახვის ახალი ხერხებით. კონცეპტუალური ტექსტი – ჩანაცვლებული, როგორც სარეკლამო ტექსტი ფოტოფაქტურაში "კონსტრუქციებს" ქმნის, ყოველდღიური არსებობის სფეროში იჭრება და ადამიანის ფსიქიკაზე ანტისარეკლამო ზემოქმედებით არის განპირობებული. ავტორისეული ტექსტები მასკულტურის რუტინაზე რეაქციაა და გონებრივი ზომბირების წინააღმდეგ მრავალჯერ ნაცად ამბოხებას წააგავს. მასში ჩადებული იმპულსები თანდათანობით კარგავენ საწყის ენერგიას და კლიშირებულ ენას ემსგავსებიან. ავტორს სურს ადამიანის ცნობიერებაზე იგივე მეთოდებით, მათივე ტექნოლოგიებით იმოქმედოს.

ყოველდღიურობის "ჭეშმარიტების" აფიშირება, ავტორის პოზიცია, კონცეპტუალური სტრატეგია, ფოტოკომპიუტერული ესთეტიკა ერთიანობაში "NEW ADDS"-ია. ძიებებით მოპოვებული მეტაპოზიცია, ერთგვარი "მრავალხმოვანება", სადაც ავტორი ქუჩების, სარეკლამო ტექსტების, პლაკატების ფონზე ვირტუალურად გაქრობადია. ეს შეიძლება ყოფილიყო მის წარმოდგენაში, მის ფიქრში, ჭვრეტაში. ჩანაცვლებული სარეკლამო ტექსტები მხატვრის მიერ წარმოსახული ცხოვრების ადეკვატურობაზე აცხადებს პრეტენზიას. სიტყვის, ემოციის ვიზუალიზაცია და თავისეული არტისტული "მიგრაცია-გადაადგილება" სრულფასოვანია და ერთადერთ ანალოგიას ადამიანის ცნობიერების სივრცეში პოულობს, როგორც გარეთ გამოტანილი ცნობიერების ფოტო-კომპიუტერული მოზაიკა. სარკისებული სიმეტრია ახალგაზრდა კაცის (მიშკა გოგრიჭიანი) გამოსახულებით მხატვრის სუბიექტურ სივრცეში ეგზისტენციალური ფანტომია. ინტიმური გრძნობა შესატყვისი მხოლოდ სულიერ სივრცესთან – სუბიექტური ემოციაა, გემოვნება და ხიბლი. მაყურებლის თვალისთვის შეუმჩნევლად იზოლირებული და ამასთანავე ლოგიკურად დაკავშირებული ფრაგმენტები - გონებრივი ჭვრეტით "გადაადგილებაა" და საზღვრების დარღვევის კიდევ ერთი მცდელობა. მხატვარი თავს გარემომცველი კულტურული სივრცის ნაწილად აღიქვამს და მომენტალურად ცდილობს გათავისუფლდეს მისი გავლენის ილუზიიდან. იგი შლის საზღვრებს ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის და "ცხოვრებისაღმშენებლურ" თავისეულ უტოპიურ ვარიანტებს განიხილავს.

ალექსანდრა გაბუნია
11.10.1999


BE SOBER


THEY DRIVE YOU


CONTROL YOU
PROJECT TEAM





ყოყა ხაბრიშვილი











კოკა რამიშვილი თბილისური ცხოვრების ავტონომიური მოვლენა – ექსცენტრიული, ექსტრაორდინალური. ხშირად ცვალებადი ინტერესების დემონსტრაციით, ხშირ შემთხვევაში ძნელად დასაწევი ევოლუციური დინამიკით, კონტექსტში ლავირებით, რომლის პოზიცია ზოგჯერ ისტერიული გამოვარდნაა, ზოგჯერ მშვიდი მედიტაციური "შედეგი". შექმნილ ვითარებაში იგი კულტურული კონტექსტის დეგრადაციას გრძნობს და თავისი შემოქმედება ინერციით მაინც კონტექსტამდე მიჰყავს. ეფუძნება საკუთარ გამოცდილებას და უსმენს საკუთარ თავს; იმას რასაც მაყურებელი ხელოვნების ნიმუშის აღქმის ჩვეულებრივ ჭვრეტას უწოდებს, მისთვის პროცესი ჩამოყალიბებული მონუმენტური მოვლენაა.

მხატვარმა მისვლისთანავე ორი ნამუშევარი მაჩვენა, რამაც ჩემი გაოცება გამოიწვია . ეს იყო 90-იან წლებში ფანქრით შესრულებული ნახატები და თბილისის ომის დროს გადაღებული ფოტები. თვითონ ფოტოები მეტალის ფერისაა და ძალიან ლამაზი ტყვიის მძიმე ნისლში დაფარული. თბილისი საშიში და შემზარავი, ქალაქი ასეთი ახლო და შორეული. კირიკოს მეტაფიზიკური ქალაქი ჩვენი რეალობა ხდება. ემოცია, რომელიც გაშინებს - "თბილისის თორმეტი დღე" – ტკივილი, რომელიც საოცარი ძალით იფრქვევა. სწორედ იმ წუთებში უნებლიედ დამებადა შეკითხვა:

*მაშინ, როდესაც თბილისური არტ-ხელოვნება აბსტრაქციით ცხოვრობს, შენ აკეთებ რაფინირებულ ნახატებს სიყვარულის თემაზე.*

**კ.რ.** ჩემი აზრით, შემოქმედმა უნდა აკეთოს ის, რაც შეუძლია და რაც სურს. ეს არის ორი პარამეტრის დიალოგი ან ხელოვნების შენეული გაცნობიერება. აუცილებელია ისიც, რომ საკუთარ თავთან მართალი
იყო. ეს საკმაოდ რთული პროცესია და ყველაფერი ერთმანეთის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ ხშირად ერთი პროცესი მეორეს უსწრებს. მაგ: შემოქმედმა იცის რა უნდა აკეთოს და რა შეუძლია გააკეთოს. იდეალურია, როდესაც ეს ორი მიდგომა ერთმანეთს ემთხვევა. ეს იშვიათად ხდება, რადგან ადამიანი აკეთებს იმას, რაც მას სურს და ივიწყებს ძირეულს, რაც ხელოვნების განვითარების კონტექსტში მთავარია. ჩემ შემთხვევაში ხდება ამ ორი პროცესის დამთხვევა. ვერაფერი შეედრება იმ შეგრძნებას, როდესაც გგონია, რომ მართალს აკეთებ, მაშინაც კი, როდესაც დანარჩენები სულ სხვას ქმნიან. ეს ის მომენტია, როდესაც ინტუიცია ინტელექტთან "მორიგდება" ან თითქოს ბედი შემთხვევას უიგივდება. ამ ორი ხაზის გადაკვეთით შეიქმნა ჩემი ფანქრის ნამუშევრები, რამაც ვფიქრობ, ერთგვარი შედეგი გამოიღო.

**ნ.გ.** *ჩემთვის შენი ვიდეოინსტალაცია საოცარი ხიბლით გამოირჩევა. იგი მხოლოდ ემოციურ აღქმაზეა გათვლილი. "მაღალ ნოტას," რომელიც მოულოდნელობით შემოდის, გააჩნია დამოუკიდებელი სიცოცხლე, გავლენა და შემოქმედების უნარი. ეს ფორმა კი იძლევა "სულიერ არომატს", რომელიც დიფერენცირდება და იძენს "ხმოვან ნიუანსებს", მაგრამ თავისი არსით იგი უცვლელია. ხმოვანებით შეიძლება დაეანგრიოთ ფიზიკური ობიექტი. ხმას აქვს საოცარი შესაძლებლობები, რაც ძალიან საინტერესოა.*

**კ.რ.** ჩემი ნამუშევრების აღქმის პროცესში ხმას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. "საუნდს" საკმაოდ ძლიერი სფერო აქვს, მას შეუძლია მთლიანად გადააკეთოს ნამუშევარი. მაგ: წარმოიდგინეთ მანქანა, რომელიც ბნელ ქუჩაში მიდის, მას ადებ ხმას და ეს გიქმნის დეტექტიურ სიტუაციას. მეორე შემთხვევაში, დადებულმა სხვა ხმამ, შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ეს განწყობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მე, როგორც მხატვარი ვმუშაობ ვიზუალურ ობიექტზე და არა ხმაზე, მე გამოვდივარ ფერიდან, რიტმიდან, მოძრაობიდან. მიუხედავად ამისა, მე ვუყურებ ნამუშევარს, როგორც ხმით სავსე ობიექტს.

**ნ.გ.** *"სიგნალი" – მამაკაცის შიშველი სხეული მაყურებლისკენ მორბის. მძაფრი ენერგიის მქონე აბრა წარწერით: "FOLLOW RED, FOLLOW YELLOW, FOLLOW WHITE" წარწერების ცვალებადობა იწვევს "სულიერ ვიბრაციას" და მაყურებელზე მოქმედებს, როგორც აღმგზნები საშუალება. ფერი სდევს სხეულს, სხეული მოძრაობაშია. ფერის "დენა" მამაკაცის სხეულზე კონცენტრირდება. შენ აჩვევ მაყურებელს "არ არსებულ" სიჩქარეს, ქმედებას, როდესაც მოძრაობა სტატიკური ხდება. სწორედ ამ დროს, გაუცნობიერებელი ამოტივტივდება და უცნაური შიშის ძალით გამცნობს თავის არსებობას. ეს არის შენი გრძნობების, ემოციის, მიღმიხეული "ფერადოვანი" დანახვა.*

**კ.რ.** სიგნალი სტრუქტურული ნამუშევარია. მასში იგრძნობა რიტმი და აქედან გამომდინარე "საუნდი". ამ ნამუშევარში ჩადებულია ჩემი გამოცდილება - კერძოდ, გამოყენებულია კონცეპტუალიზმის, ARTE POVERA-ს და მინიმალიზმის ტრადიციები. "სიგნალი" ამ გამოცდილების ბაზაზეა აწყობილი. რაც შეეხება ემოციურ მხარეს მიძნელდება თქმა, კონკრეტულად რა გრძნობები ჭარბობდა ჩემში. ერთი ვიცი, რომ ნამუშევარი სევდიანი გამოვიდა. ეს არის ჩემი დამოკიდებულება ადამიანის სავალ გზაზე.

**ნ.გ.** *რა გავლენა იქონია კინემატოგრაფმა შენს ვიდეოინსტალაციებზე?*

**კ.რ.** მე დავიბადე და გავიზარდე კინოს ეპოქაში. კინო ჩემი ბიოგრაფიის პარალელურად ვითარდებოდა, ამიტომაც იგი ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი ფაქტორია, მაგრამ ათვლის წერტილი არ არის. ჩემი ვიდეო ექსპერიმენტები ფაქტობრივად ანტიკინოა. ამ შემთხვევაში ვიდეოს, როგორც კინოს ნაწილს ვერ აღვიქვამ თუმცა კინოს არ ეწინააღმდეგება, უბრალოდ იგი თავისი კონტექსტით ანტიკინოა.

**ნ.გ.** *შენს პროექტში "შესაძლებელი პროგნოზი" საელჩოები პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკის ეროტიულ ზონებად იქცნენ, რეალობაში სხეულის რომელი ნაწილია შენთვის ეროტიული?*

**კ.რ.** ეს საკმაოდ რთული შეკითხვაა, იმიტომ რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული ეროტიკული განცდების გამოწვევა შეუძლიათ. ეს დამოკიდებულია მომენტზე, განწყობაზე და იმ ადამიანზე, რომელთანაც იმ წუთას იმყოფები.

ესაუბრა ნინო გუჯაბიძე
27.10.1999






SWEET LIFE


SWEET MONEY






SWEET BODY


SWEET LOVE








მხატვარი ამოატივტივებს წარსულში ჩაძირულ ხატებებს, რაც ხშირად "ხმაურიანი" ფერადოვნებით აღწევს ჩვენამდე. ნამუშევარი კარგია, უკეთუ მას შინაგანი აუცილებლობა წარმოშობს, ამგვარი ხასიათი კი მის ღირებულებასაც განსაზღვრავს. მურთაზ შველიძის შემოქმედება სწორედ ამ "შინაგანი" აუცილებლობიდან მომდინარეობს. მისი სურათებისთვის დამახასიათებელი ფერადოვნება, მაჟორულობა, ემოციურობა ავლენს მისი ნაწარმოების "ქმნის" პროცესს. მხატვარი შესანიშნავად ფლობს მასალას. იგი მასალისეული ენის მაქსიმალურად გამოვლენის ხარჯზე ეძებს ახალ შეგრძნებებს. შექმნილი სამყარო და მისი სულიერი მდგომარეობა ყოველთვის თანხვედრია მის მიერ გამოვლენილი მასალისეული ენისა. მნიშვნელოვანი ხდება ერთი ყველაზე საინტერესო პროცესი — ეს არის უკუსვლა ფერიდან სალებავამდე. იგი ცდილობს ახლებურად წარმოაჩინოს სალებავის პოტენციური შესაძლებლობა, მისი "პირველყოფილება", ამდენად მხატვარი მისეულ შეგრძნებებს და განცდას მასალისეულ ენას უქვემდებარებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს "ხიბლის" სივრცეში "ძველი ტელევიზორების" სერია. მხატვარი მიმართავს იმპროვიზირებას. იგი მოულოდნელად ცვლის ეკრანზე გათამაშებულ ფერადოვან კომპოზიციას. საბოლოო შედეგი მისთვის ხშირ შემთხვევაში უცნობია. აქ იხსნება მხატვრის ერთი არსებითი მომენტი — შემოქმედებითი წვა ენათასავება სხეულებრივ განცდას, მის სიტკბოებას, სინამდვილეში კი ეს ორი მოვლენა მასთან მხოლოდ ერთი და იგივე ლტოლვისა და ნეტარების ფორმებია, მისი მხატვრული ძალა პირველყოფილი ინსტინქტივით დიდია და დაუოკებელი. ეს ძალა, ლტოლვა და მოუსვენრობა, რომელიც მასში არსებობს, განუწყვეტლივ ხმაურობს. აქ ფერთა სიუხვე, მძლავრი ფორმები ერთმანეთთან არის გადახლართული და ერთი მთლიანობასავით მოჩანს. ინტენსიური ქლერადი ფერი "სტაბილურ ველად" გვევლინება, რომელზეც არსებობას იწყებს ყოველდღიურად "გათამაშებული" სცენები. მის მიერ დადებული ფერი თუ მონასმი შინაგანად თავისუფალია. სახვითი ელემენტების ურთიერთკავშირი თითქოს შინაგანი კანონების ერთიან გორგალს ქმნის. მასთან ქვეცნობიერში მიძინებული სასიამოვნო და უსიამოვნო ებრძვიან ერთმანეთს. თითქოს ერთგვარი შეგუებლობის მცდელობაც იგრძნობა, მაგრამ ეს წამიერი შგრიხი, გაფიქრება, უმალვე ქრება და ახალი ძალით არღვევს ყოველივეს. მურთაზ შველიძესთან დადებითი და უარყოფითი ემოციები ერთიანი სიმძლავრით და ფერთა ინტენსიურობით გადმოიცემა, რაც თავისთავად ერთიდაიგივე ცხოვრებისეული ლტოლვის გამოვლინებაა.

ნინო გუჯაბიძე
15.10.1999





## ჩვენი დროის სამყაროში ანუ როგორ ვიცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით

თითოეული ეპოქა აქტუალობით და დინამიკით არის აღსავსე. მასში მცხოვრებთათვის ეს "მათი დროა". სიტყვათშეთანხმება "ჩვენი დრო" ყოველთვის წარსულის შეგრძნებას იწვევს, თუმცა ადამიანები მაშინაც ამბობდნენ — ჩვენი დრო. წარსულზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იმდროინდელი ადათ-წესები დღევანდელობისგან ბევრად არ განსხვავდებიან.
ჩვენთვის XX საუკუნე ჯერაც დაუსრულებელ "წარსულში" ან კიდევ დროის სივრცეში გაწელილ "აწმყოში" მოიაზრება. "მომავალი" კი თითქოს სხვა ეპოქაა, ყოველ შემთხვევაში ჩვენი წელთაღრიცხვის თვალსაზრისით.
ერთი რამ უდაოა, ჩვენი საუკუნის ხიბლი თავისუფლების დამკვიდრებითაა ინსპირირებული; თავისუფლების როგორც თვითგამოხატვის, აუცილებელი პირობით.

უნდა ვისწავლოთ საკუთარ დროში საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება — საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება მარსელ დიუშამისთვის მხოლოდ და მხოლოდ უპირობო თავისუფლებას ნიშნავს. სწორედ უპირობო თავისუფლების, როგორც მორალური კატეგორიის კონტექსტში, პიროვნების ახალი ტიპი ყალიბდება, რომელიც თავისუფლების ეგზისტენციალური განცდით და სამყაროს ბედის მიმართ პირადი პასუხისმგებლობით ხასიათდება.

სამი იპოსტასით — ავანგარდით, ტრანს-ავანგარდით და პოსტ-მოდერნიზმით — გამოხატულმა თანამედროვე ხელოვნებამ "ძველი აღთქმის" სტერეოტიპების ე.წ. "დახვეწილი ხელოვნების" და ხანჟური მორალის დაძლევის მძიმე და იმავდროულად ეიფორიული პროცესის მომსწრე გაგვხადა.
თუკი საზოგადოება, დისკრიმინაციულია თავისუფალი თვითგამოხატვის მიმართ, მაშინ სიტუაციის საბოტირება ყველა შესაძლებელი საშუალებებით გამართლებული და გარდუვალია. ალბათ ამიტომაცაა, რომ თანამედროვე სამყაროში იყო მხატვარი უფრო პოზიციაა, ვიდრე პროფესია.

თუ წარსულს მიმოვიხილავთ ათასწლეულის ჯერ არ დაშვებული ფარდის მიღმა, აღმოვაჩენთ, რომ ნოვატორული ძალისხმევის გაცნობიერების, განცდის და გათავისების პროცესი კატეგორიული იმპერატივის ხარისხში მიმდინარეობს. ამგვარად, ნაგრძნობი და განცდილი თავისუფლების მეოხებით მოვლენის განუმეორებელი ბუნება ხორციელდება. რაც კონტექსტუალურად ეპოქის სახასიათო ხიბლში ვლინდება.

განცდილი თავისუფლების პოზიცია მომავალისკენ გვიბიძგებს, მომავლისკენ, რომელიც ალბათ არც ისე განსხვავებული იქნება აწმყოსგან, თუმცა როგორც აღმშენებლურ ისე დესტრუქციულ პროცესებისგან მეტ დინამიურობას უნდა მოველოდეთ. ნებისმიერ შემთხვევაში თავისუფალი ნების გამოხატვის პრიორიტეტი საზოგადოებას წინსვლის საშუალებას მისცემს.

XX საუკუნის შემოქმედებითი კრედოს ყველაზე სახასიათო თავისებურება ალბათ ტრადიციულ ფასეულებათა დისკრედიტაციაა და ამ ფონზე ცხოვრების ჩვეული ასპექტების "ხატად" ქცევაა, ისევე როგორც მენტალური სემანტიკის მოქცევა ყოველდღიურობის და არასტანდარტული ინფრასტრუქტურის კონტექსტში.

ასე, ბერძნულ ამფორასთან, შიშველ ფიგურებთან პომპეის ფრესკებიდან და ჩინური მარაოსთან ერთად შესაძლოა დახვეწილი აღმოჩნდეს: ჩვეულებრივი უთო, საუთაო დაფა, სამზარეულოს დანები და საძინებელი კომპლექტის ბალიშები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მომხიბლველობით გამოირჩევა ბირკა, და ციფრები ადამიანის სხეულზე, ინტიმური ჰიგიენის პროცესი ანდა შესაბამისი ზომების მონიტორი, რომელიც ქალის ფართოდ გაშლილ ფეხებს შორისაა მოქცეული. ამ მხრივ გამოხატვის საშუალებათა რიგი არ არის ლიმიტირებული რაიმე წესით. დახასიათებათა არჩევანს, სტრუქტურას და კონცეფტის პარამეტრს, მხოლოდ შინაგანი აუცილებლობა განსაზღვრავს.

დღევანდელი დროის, მისი ხიბლის როგორც მოვლენის შეგრძნება ნიშნავს მიიღო აწმყო ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, ეს საშუალებას გვაძლევს წარსულიც და მომავალიც სინანულის და შიშის გარეშე აღვიქვათ, რადგან რაც ნაკლებად ვცდილობთ დროით მანიპულირებას და მოცემული სიტუაციის ფორსირებას, მის უარყოფას, ან დადასტურებას, მით მეტად ზემოქმედებს ჩვენზე.

ილიკო ზაუტაშვილი
2.11.1999

კადრები ვიდეო ფილმიდან "ექვსი მხატვრის მოკრძალებული ხიბლი"
რეჟისორი ქეთი გუჯაბიძე, ოპერატორი დავით გუჯაბიძე
Shots from the Video film "Modest Charm of six atrist"
Director kethy Gujabidze, Camera David Gujabidze 3

ალექსანდრა გაბუნია, "ხიბლი"
"The Charm", Alexandra Gabunia 5

ნინო გუჯაბიძე
"თანამედროვე ხელოვნებამ ფართო განაცხადი გააკეთა..."
Nino Gujabidze
"The contemporary art has..." 6

ირაკლი ვარვარიძე
"მე ოცდასამი წლის ვარ"
ფერადი ფოტოგრაფია, 127/100სმ
Irakli Varvaridze
"I am twenty three years old"
color photography, 127cm/100cm 7

კოტე სულაბერიძე
"დალტონიკის თვალებით"
ფერწერა, 290/135სმ, მინა 95/95სმ
Konstantin Sulaberidze
"Through the eyes of Daltonic"
painting 290/135cm, glass 95/95cm 10

ქეთი კაპანაძე
"ახალი რეკლამები"
დიჯიტალური ფოტოგრაფია, 55/75სმ
"ჩემზე მომქმედებს"
ობიექტი, 30/40სმ
Keti Kapanadze
"New adds"
digital photography, 55/75cm, b/w
"Effects on me" object, 30cm/40cm 14

კოკა რამიშვილი
"ღავანის თავგადასავალი ბროლის სასახლეში"
ფერადი ფოტოგრაფია, მინა, ხე, 300/500/10სმ
Koka Ramishvili
"The adventures of Ghavani in the crystal palace"
Color photography, glass, wood, 300/500/10cm 16

ილიკო ზაუტაშვილი
"ტკბილი ცხოვრება"
ინსტალაცია, 110/500/40სმ
Iliko Zautashvili
"Sweet life"
Installation, 110/500/40cm 19

მურთაზ შველიძე
"ძველი ტელევიზორები"
ფერწერა, ობიექტი 61სმ დიაგონალზე
Murtaz Shvelidze
"Old TV sets"
painting, object 61cm in diagonal 22

ილიკო ზაუტაშვილი
ჩვენი დროის სამყაროში ანუ როგორ ვიცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით
Iliko Zautashvili
In a world of our time or how to live one's life 25



October, 1999





პროექტის ავტორები: ნინო გუჯაბიძე, ალექსანდრა გაბუნია
რედაქტორი: ნინო სვანიძე
დიზაინი: ქეთი კაპანაძე
The project authors: Nino Gujabidze, Alexsandra Gabunia
Editing by Nino Svanidze
Design by keti kapanadze